ლექცია 3

ქართული ხელოვნება IV-VII საუკუნეებში

IV-VII საუკუნეებში ჩამოყალიბდა ეროვნული კულტურის სახე. V საუკუნეში იქმნებოდა ქართული დამწერლობის ნიმუშები. ნათარგმნი იყო ბიბლია და შეიქმნა ადრეული ნაწარმოებები ქართული ლიტერატურის ი. ცურტაველი „შუშანიკის წამება“. ქრისტიანობის მიღების შემდეგ საქართველოს წინა აზიის არქიტექტურასთან კავშირი არ შეუწყვეტია, ასევე, მჭიდროდ დაუკავშირდა დასავლურ კულტურას. V საუკუნეში დაარსდა ქართული მონასტრები სირიასა და პალესტინაში, (უფრო გვიან) საბერძნეთში და სინას მთაზე, იქ ქართველი ბერები ინტენსიურ სამრეწველო და მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდნენ, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურული ურთიერთობისა და ურთიერთგავლენისათვის. იმ დროინდელი ქართული ნივთიერი კულტურის მაღალი დონის ყველაზე თვალსაჩინო მაჩვენებელი სწორედ ხუროთმოძღვრებაა. ქართული ხუროთმოძღვრება უკვე მაშინ სახავდა რთულ მხატვრულ პრობლემებს და ახერხებს მათ თანმიმდევრობით ამოხსნას. არქიტექტურასთან მჭიდროდ დაკავშირებულია დეკორატიული ქანდაკებაც, ტაძრების ფასადთა რელიეფები, საკულტო სტელები. ქრისტიანულმა ეკლესიამ ხუროთმოძღვრებს სრულიად გარკვეული ამოცანა დაუსახა: უნდა შექმნილიყო საგანგებო შენობა, რომელიც ბევრ მლოცველს დაიტევდა და სარწმუნოებრივი რიტუალის ჩასატარებლად გამოდგებოდა. თავდაპირველად მლოცველები ეკლესიის გარეთ იდგნენ. ეკლესიები მცირე ზომისაა, ისინი დროთა განმავლობაში იქცნენ მეტნაკლებად ტევად ეკლესიებად. V საუკუნის ბოლოს კი უკვე საკმაოდ დიდი ტაძრების შენებაც დაიწყო. როგორც ცნობილია, ევროპისა და წინა აღმოსავლეთშ ძველ ქრისტიანულ ხანაში გავრცელებული იყო საეკლესიო ნაგებობათა ორი უმთავრესი სახეობა: ა) წაგრძელებული უგუმბათო შენობა - ბაზილიკა და ბ) ცენტრალური მრგვალი,

მრავალწახნაგა ჯვარისებრი შენობა. საქართველოშიც ქრისტიანულ საკულტო არქიტექტურაში აგრეთვე ვხვდებით ამ ორ სახეობას.

ქართული ეკლესია მთლიანად და სავსებით ემხრობა მთელ ქრისტიანულ სამყაროში მიღებულ ნორმებს, ფუნქციების თვალსაზრისით იგი ემთხვევა სხვა ქრისტიანული ქვეყნების ეკლესიას. აღმოსავლეთისაკენ მიმართული ნახევარწრიული აფსიდიანი საკურთხეველი, სადიაკვნო და სამკვეთლო მის ორივე მხარეს, მლოცველთა დარბაზი, ესაა ძირითადი შემაადგენელი ნაწილები ყველა ქართული ეკლესიისა. მათ არ გააჩნიათ არც ნარტაქსები დასავლეთ მხარეს, არც ცალკე აშენებული სანათლავები (ბაბტისტერიუმი) როგორც დასავლეთ ევროპის ეკლესიებში, ხოლო სამრეკლოები შედარებით გვიან გაჩნდა, დღემდე არსებულთაგან უძველესი XIII საუკუნისაა.

შუა საუკუნეების მანძილზე საქართველოში არსებობას განაგრძობდა ხუროთმოძღვრების სხვა სახეობა - სამოქალაქო, უტილიტარული, თავდაცვითი შენობები. მართალია საქართველოს მთებსა და ხეობებში ციხეკოშკები ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, თუმცა თითქმის ყველა დანგრეულია ან დაზიანებული. ყოველ შემთხვევაში, არ მოიძებნება არც ერთი ციხე თავდაპირველი სახე რომ ჰქონდეს შენარჩუნებული. დასავლეთ ევროპისგან განსხვავებით გვაქვს სასახლეებისა და ციხე-დარბაზების ნანგრევები. თბილისის, ქუთაისის, თელავის, სიღნაღის ძველი უბნები, ქუჩების ძველი ქსელი ჯერ კიდევ არსებობს, თუმცა ძველი საცხოვრებელი სახლები აღარ არის. ამის ახსნა რთული არ არის, საკმარისია გავიხსენოთ სისხლისმღვრელი გამანადგურებელი შემოსევები, რასაც თან სდევდა დასახლებული ადგილების აოხრება და მოსახლეობის ჟლეტა არაბი, თურქ-სელჩუკი სპარსელთა და სხვა მტერთაგან. თუმცა თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე სამოქალაქო და თავდაცვითი არქიტექტურის შედარება საეკლესიო ხუროთმოძღვრებასთან შეუძლებელია.

IV-V საუკუნეებში როდესაც ქართული ხუროთმოძღვრება ახალი იდეური და მხატვრული ამოცანების წინაშე დადგა, მას უკვე სავსებით შემუშავებული ჰქონდა ტექნიკური ხერხების არსენალი. ეს ეხება საშენ მასალათა გამოყენებას და დამუშავებას, ასევე კონსტრუქციებსაც. ყველა მონუმენტური შენობა ქვით შენდებოდა, კირის ხსნარის გამოყენებით, ეკლესიის კედლები, ფასადის მხრიდან და შიგნითაც. ნაშენია კარგი გათლილი წესიერი ფოემის კვადრებით, რომლებიც წესიერ ჰორიზონტალურ რიგებს ქმნიდნენ. კედლის მასალის შერჩევისას ხუროთმოძღვრები მარტო პრაქტიკული მოსაზრებებით კ არ ხელმძღვანელობდნენ, არამედ ესთეტიკურ მხარესაც აგურს,როგორც საშენ მასალას კარგა ხანს მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა.,მხოლოს გვიან XV1- XV111 საუკუნეებში მან დაიმკვიდრა ადგილი და მხოლოდ საქართველოს ზოგიერთ ნაწილში.

პირველი ქართული ეკლესიები

მე1V ს-ში საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ამან საფუძველი ჩაუყარა ახალ ქრისტიანულ კულტურას, რაც აისახა დამწერლობაში, განათლებაში, ფილოსოფიურ აზროვნებასა და **ხელოვნებაში. ხუროთმოძღვრებაში საქართველოს დიდი ხნის ტრადიცია** ჰქონდა, მაგრამ ქრისტიანობამ ახალი მოთხოვნები წუყენა, უნდა ასენებულიყო ახალი ტძრები. თავდაპირველად იგებოდა ბაზილიკები, რომლებიც სეცვლილი სახით იყო და ქართულ ტრადიციებთან იყო შერწყმული.მე 1V-V1 ში ამ ტიპის რამდენიმე ეკლესია აიგო.

ყველაზე ადრეული ნიმუშია **ძველი შუამთა,**რომელიც კახეთში თელავიდან 7კმ. ტყეში მდებარეობს ის აიგო მე Vს-ში, ალახნის ხეობის ზედა პლატოზე გაშლილია სამონასტრო კომპლექსის სამი ეკლესია, რომელთა შორის უძველესია ძველი შუამთა. ბაზილიკა იმ მხრივაც არის საყურადღბო, რომ მასში მკაფიოდ გამოიხატა ამ არქიტექტურული თემის განვითარების შემდგომი საფეხურები. აღმოსავლეთ- დასავლეთის ღერძზე დაგრძელებული შიგა სივრცე

ორ წყვილ სვეტზე დამყარებული თაღებით სამ ნავად ნაწევრდება. შუა ნავი შედარებით მაღალი და განიერია. გვერდითი ნავები საგრძნობლად ვიწრი და დაბალია. ეს გვერდითი ნავები სიგრძეზე სწორკუთხა ფორმებით გამოიხატებიან.როგორც საკურთხევლის **ნახევარწრიული მოხაზულობის აფსიდში ,ისე გვერდითი ნავების სწორკუთხა სიბრტყეებში თითო სარკმელია გაჭრილი.ბაზილიკის გვერდითი ნავები ერთმანეთს დამატებით უკავშირდებიან აგრეთვე დასავლეთით მოთავსებული განივი ნავით, რაც ბაზილიკის გარსშემოსასვლელს წარმოადგენს. ძველი შუამთის სამშენებლი მასალად გამოიყენებოდა** რიყის ქვს, როგორც ეს დამახასიათებელია კახეთის არქიტექტურისათვის.

თბილისის ანჩისხატი (მარიამწმინდის სახ)

თბილისის ანჩისხატი სამნავიანი ბაზილიკაა.(V1ს-ნე). მისი ცენტრალური ნავი, ურბნისის ბაზილიკის მსგავსად საკმაოდ მაღალია და ორქანიბიანი სახურავით არის გადახურული. გვერდითი ნავები ცალფერდა ქანობებით იხურება. ნავების სხვადასხვა სიმაღლეებით და გადახურვის ასეთი სტრუქტურით სოვრცეში მკაფიოდ მოიხაზება ბაზილიკისათვის დამახასიათებელი სილუეტი. თლილი ქვით ნაგები ეკლესია სიგრძივ ღერდზე წაგრძელებულ ოთხკუთხედშია მოქცეული. მისი საკურთხევლის აფსიდა გარეთ არ გამოიყოფა შვერილის სახით და კედლის სიბრტყეშია ნიველირებული. ბაზილიკის ცენტრალური შესასვლელი დასავლეთის მხრიდან აქვს გამართული, სადაც კარის ღიობის თავზე ნალისებური ფორმის ლუნეტებია მოთავსებული. ასეთივე ნალისებური ფორმის ღია ლუნეტით ფორმდება ასევე ეკლესიის ჩრდილოეთ კარი. ძეგლის არქაული სახე კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიხატა შოგა სივრცის ორგანიზაციაში. ბაზილიკა თავდაპირველად სამი წყვილი სვეტით სამ ნავად ნაწილდებოდა. ძველი სვეტები ამჟამად შეცვლილია (XV11ს-ში) საკურთხევლის აფსიდის ორსავე მხარეს სამკვეთლოსა და სადიაკონეს დამოუკიდებელი კამერები ნაწიდებიან, რაც ევქარისტიის უკვე ჩასმოყალიბებულ ლიტურგიკაზე

მოგვანიშნებს. საკურთხევლის აფსიდის სატრიუმფო თაღი ნალისებურია. ნალისებური ფორმა შემორჩა აგრეთვე საკურთხევლის სარკმელსაც, რაც ამ ძეგლის ადრეულობას კიდევ ერთი მიმანიშნებელია.

ბაზილიკის დასავლეთ ფასადზე მოთავსებულია ერთი რელიეფური ქანდაკება. ორი მფრინავი ანგელოზი მედალიონში ჩაწერილ „ძლევის ჯვარს“აღამაღლებს.ამრიგად, ანჩისხატის ბაზილიკას აქვს ყველა ძირითადი კომპონენტი: ნალისებური თაღები,ღია ლუნეტები, უძველესი იკონოგრაფიული პროგრამის გამომხარველი რელიეფური ქანდაკება. ანჩისხატის ბაზილიკა XV11ს-ში განუახლებია დომენტი კათალიკოსს.ამ ხანას განეკუთვნება ეკლესიის დასავლეთით აგებული აგურის სამრეკლო.

ნოქალაქევის სამნავიანი ბაზილიკა

სამნავიან ბაზილიკათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას არქეოლიგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ერთერთი პირველის ბაზილიკა, რომელიც 1V ს-ს მეორე ნახევრის დარბაზული ტიპის ეკლესიის ნანგრევებზე აუგიათ. წყაროების მიხედვით ნანგრევებზე დაშენებული ბაზილიკა საკმაოდ ადრეული ხანის საკულტო ნაგებობა უნდა ყოფილიყო. ნოქალაქევის „პირველი ბაზილიკა“ მდებარეობს „ორმოცმოწამეთას“ გუმბათიანად გადაკეთებულ ბაქზილიკასა და სასახლეს შორის. ეკლესია ფრაგმენტულად არის შემორჩენილი. მაგრამ მისი ცალკეული არქიტექტურული ელემენტები სასუალებას გვაძლევს ,ძირითად ფორმებში წარმოვიდგინოთ ეს უძველესი ბაზილიკა. ეკლესიაა დიდი ზომისაა, აქვს ხუთწახნაგა შვერილი აფსიდი, რაც დამახასიათებელია ე.წ. „ელინისტური ბაზილიკის“არქიტექრტურული ტიპისათვის.მსგავს შვერილებს ვხვდებით გვიანანტიკურ-ადრეფეოდალური ხანის წინა აზიის ქრისტიანულ არქიტექტურაში. თუმცა დასავლეთ საქართველოს საკულტო ხუროთმოძღვრებაში შვერილიაანი აფსიდები შუა ფეოდალურ ხანაშიც დასტურდა. ნოქალაქევის სამნავიანი

ბაზილიკის სიძველეზე მეტყველებს მისი ჯერ კიდევ დაუხვეწავი ფორმები, სიგრძივ ღერძზე განვითარებული ნაგებობის შესამჩნევად ტრაპეციული საერთო აბრისი, სადაც დასავლეთი მონაკვეთი 20 სმ.განიერია ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილზე.ბაზილიკოს დასავლეთით გამართულია ნართექსი. თუმცა ჩვეულებრივი ნართექსებისაგან იმ ნიშნით გასხვავდება,რომ იგი ღიად უკავშირდება გვერდით ნავებს. საკმაოდ განიერ ცენტრალურ ნავს ვიწრო გვერდითი ნავები სამ-სამი თაღით უერთდება.

დასავლეთ საქართველოს ნართექსიანი ბაზილიკების სტრუქტურაში არაერთგვაროვნება შეინიშნება. განკუთვნილი დამოუკიდებელი სათავსები - სამკვეთლო დასადიაკვნე მხოლოდ მეV-V1 ს-თა მიჯნაზე ჩნდება დედაქალაქის ეს უძველესი ბაზილიკა V ს-ნის შუახანების საკულტო ნაგებობაა.

ქართული ხელოვნების განვითარების ისტორიის მანძილზე ხუროთმოძღვრება საკმაოდ ინტენსიურად ვითარდებოდა და მთელი მისი არსებობის დროს იყო თვიდმყოფადი.

ქართული არქიტექტურა განვითარების ხუთ პერიოდს მოიცავს 1.პერიოდი - 111 ათასწ. შუა ხანებიდან ძვ. წ.1 ათასწ. შუა ხანამდე. 2.პერიოდი - ძვ.წ.1 ათასწ. შუა ხანებიდან-ახ.წ.1ათასწ.1Vსაუკ – ანტიკური ხ. 3.პერიოდი - ახ.წ.1Vს-დან - XV111ს-ის ბოლომდე, ფეოდალური ხანა. 4.პერიოდი - 1801 წლიდან XXს-ის 20 ს-მდე. ბურჟუაზიული ეპოქა. 5.პერიოდი - XXს-ის ს-დან დღემდე - თანამედროვე არქიტექტურა.

ბოლნისის სიონი

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების გამო,როგორც უკვე აღვნიშნეთ,გახდა თაძრების მშენებლობის აუცილებლობა. ძირითადად ორი ტიპის ტაძრები შენდებოდა - ბაზილიკები და ჯვარგუმბათოვანი. ბაზილიკა არის გრძელი, ორქანობიანი სახურავით

გადახურული შენობა, რომლის შიდა სივრცე სვეტების ორი რიგით (ან 4) დაყოფილია სამ ნაწილად. ან ნაწილებს ნავები ეწოდება. ცენტრალური ნავი უფრო მაღალია და განიერი, გვერდითი ნავები კი უფრო ვიწრო და დაბალი. მათ ცალკე ცალფერდა გადახურვა აქვთ. აღმოსავლეთის მხრიდან აქვთ ნახევარწრიული აბსიდა. საქართველოში თავიდან აქტიურად ასენებდნენ ბაზილიკებს. მაგ. პირველი ქართული ეკლესიები. მათ შორის ერთერთი მნიშვნელოვანია ბოლნისის სიონი, რომელიც მეVს-ნის მიწურულს იყო აშენებული. არის საკათედრო ტაძარი. მომწვანო ფერის ტყფისაგან აგებული სამნავიანი ბაზილიკა. 5 წყვილი ჯვრული ფორმის სვეტებით არის დაყოფილი.სხვა ბაზილიკებისაგან განსხვავებით, სამივე ნავი ერთი სახურავის ქვეშ არის, მაგრამ ვინაიდან ჩრდილო და სამხრეთის მხრიდან აქვს გალერეები, რომლებიც უფრო დაბალია და ცალფერდა გადახურვა აქვს. მაგრამ გარეგნულად მაინც ბაზილიკის სილუეტი მიიღება. ასევე აქვს ნახევარწრიული აფსიდი, რომელიც გამოწეულია შენობის ფორმებიდან (შვერილი აფსიდი) ნავები ცილინდრული კამარებით იყო გადახურული(ამჟამად კამარები გვიანი რემონტის დროინდელია). აფსიდის მოხაზულობას და თაღებსაც ნალისებური ფორმა აქვთ, რაც ადრექრისტიანულ ხანას ახასიათებს. შესასვლელი იყო ჩრდილოეთ და სამხრეთის მხრიდან (ახლანდელი დასავლეთის კარი გვიან არის გაჭრილი). გალერეების თაღებსაც ნალისებური ფორმა აქვს. სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში არის ცალკე მოწყობილი სანათლავი (ეს იშვიათია ქართულ ხუროთმოძღვრებაში) ჩრდილოეთით შესასლელის თავზედ იყო დიდი არქიტრავის ქვა წარწერებით, რომელიც ქართული ასომთავრულის დამწერლობის ჩვენ დრომდე პირველი შემორჩენილი ნიმუშია. (ასომთავრული უძველესი წარწერები არის ბესლეთი, გოხნარი, იშხანი, დოლისყანა და ბოლნისის სიონი). ბოლნისის ტაძარზე არის რამდენიმე გამოსახულება, წრეში ჩახაზული ტოლმკლავიანი ჯვარი - მას ბოლნურ ჯვარს უწოდებენ. გარედან კედლები არ არის გაფორმებული ჩუქურთმებით.დეკორი შიგნით არის თავმოყრილი.

გვერდით გრძივ კედლებში არის გაჭრილი სარკმლები,საიდანაც შემოდის შუქი. ის ფაქტი, რომ შესასვლელი გვერდიდან არის და არა დასავლეთიდა, რაც საგრძნობლად ცვლის სავრცის აღქმის თავისებურებას.საერთოდ ბაზილიკებში დასავლეთის და აღმოსავლეთის ღერძი არის ხოლმე ბვითარდება. როგორც შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, ქართულ ხუროთმოძღვრებაში უპირატესობა ენიჭებოდა ცენტრალურ კომპოზიციებს და სივრცის ვერტიკალურ განვითარებას. ბაზილიკური ტიპი მაინცდამაინც არ განვითარდა საქართველოსი, ჯვარგუმბათოვანი გახდა წამყვანი. ბოლნისის შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ, როგორი შესასვლელების განლაგებით ხდება სივრცის აღქმის შეცვლა, გვერდიდან შესასვლელი აღმოჩნდა სივრცის შუაში და მის სიგრძივ განვითარებას ისე ვეღარ გრძნობ, ეს შენელებულია. გარდა ამისა, თვით ბაზილიკის სიგრძეც არ არის დიდი და ესეც ხელს უწყობს კომპაქტურობას. მაგ. ურბნისის ბაზილიკაში წმინდა ბაზილიკური ნიშნები უფრო მკაფიოდ არის გამოვლენილი.

ბოლნისის სიონის საკურთხევლის პილასტრების კაპიტელები შემკული არის რელიეფებით. ერთ მხარეს ორნამენტებით, მეორე მხარეს კი ორ რეგისტრად გამოსახული ირემი ორ, პროფილში მჯდომ ლომს შორის, ქვემოთ კი ირმებს დაედევნება დათვი. გამოსახულება ძალიან პირობითია, სიბრტყოვანი, ბუნებრივი პროპორციები დარღვეულია. სანათლავში კაპიტელებზე გამოსახული ჯვარი ორ ფრინველს შორის და აგრეთვე სულ სხვა სტილშია შესრულებული ხარის თავი ჯვრით რქებს შორის -ღავის მოცულობით დაპლასტიკური ფორმებით წააგავს სვეტიცხოვლის ძველ რელიეფს. ბოლნისის სიონი არის ადრექრისტიანული ხანის ერთ-ერთი ყველაზე მნისვნელოვანი ძეგლი, რომელშიც ძალიან თავისებურად ბაზილიკური თემა ჩვენს ხუროთმოძღვრებაში აისახა.

ბოლნისის სიონის განვითარების შემდგომი პერიოდი

ბოლნისის სიონის შემდგომ აშენებულ ბაზილიკებში, კერძოდ ურბნისი(V1ს) ბოლნისისაგან განსხვავებით სამკვეთლოსა და სადიაკვნოს დამოუკიდებელი ოთახები ჩნდება.ურბნისის სიონი, რომელიც სიგრძით ბოლნისის სიონს აღემატება, სიგანით კი შედარებით ვიწროა.ურბნისის ბაზილიკაში უფრო მკაფიოდ არის გამოხატული ნაგებობის სიგრძივი ღთერძი, ვიდრე ბოლნისის სიონის ბაზილიკაში. ურბნისის სიონი იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ ამ არქიტექტურული ტიპის ევოლუციის თვალსაზრისით, მასში გარკვეული სიახლეები შეინიშნება. ეს სიახლეები კი უდავოდ ბოლნისის მომდევნო ეტაპს გამოხატავს. ურბნისის ბაზილიკა სამნავიანი საკულტო ნაგებობაა. ჯვრისებური გეგმის სვეტების ოთხი წყვილი შიგა სივრცეს სამი თანაბარი სიგანის ნავებად ანაწევრებს. სვეტებს შორის მანძილი ბოლნისისზე საგრძნობლად დიდია, რამაც განაპირობა ნაგებობის სიგრძივ ღერძზე დაგრძელება. ასეთ ვიზუალურ აღქმას ხელს უწყობს ეკლესიის დასავლეთ კედელში გაჭრილი კარი,საიდანაც ერთიანად იშლება შიგა სივრცის სიგრძობრივი განვითარება.ამ ძეგლში უკვე ჩნდება სადიაკვნო და სამკვეთლო,საკურთხევლის ორივე მხარეს.ბაზილიკის გეგმა ჩაწერილია წაგრძელებულ სწორ ოთხკუთხედში. კედლებზე დაცულია წარწერა, რომლის მიხედვით სიონი აგებულია ვინმე კოსტანტის და მოქელის მიერ.

მე V1 ს-ნის მეორე ნახევრიდან ბაზილიკების გვერდით სამეკლესიანი ბაზილიკები ჩნდება. ქვემო ბოლნისის ტერიტორიაზე სამეკლესიანი ბაზილიკა მდებარეობს. გეგმაში კვადრატულია. აღმოსავლეთის ფასადზე გამოიყოფა საკურთხევლის აფსიდი, ნახევარწრიული შვერილის სახით.მასში გაჭრილია ერთი საკმაოდ განიერი სარკმელი.შიგქქ სივრცე ნათდება კიდევ სამი სარკმლით, რომლებიც სამხრეთის და დასავლეთ კედელშია დატანებული.ინტერიერი კედლებით ნაწევრდება სამ ეკლესიად,სადაც თუთიეულ მათგანს აღმოსავლეთით ნალისებური მოხაზულობის აფსიდი აქვს. ეკლესიათა დამაკავშირებული ორივე კარი სამხრეთ ფრთაში გამართული თაღოვანი ღიადებით შედიოდა. ჩრდილოეთ ნავში მოხვედრა კი

მხოლოდ შუა ნავიდან იყო შესაძლებელი მასში დატანებული ერთი კარის საშუალებით. ცენტრალურ ნავში შესასვლელი ორივე კარის თავზე გადებულ არქიტრავზე, როგორც იკონოგრაფიული პროგრამის, ისე სტილისტურ- საშემსრულებლო დონის თვალსაზრისით,საყურადღებო ქანდაკებებია მოთავსებული.ერთზე მაცხოვრის ამაღლება გამოიხატება, ხოლო მეორეზე ღვთისმშობლის განდიდება.საერთი კომპოზიციური აგებულებით მსგავსი იკონოგრაფიული პროგრამების გვერდიგვერდ გამოსახვის საერთო რეგლამენტაცია მიგვანიშნებს ადრეული საუკუნეების ქანდაკებათა გაქნაწილების წესზე,რაც უპირატესად მე V1 საუკუნის საკულტობხუროთმოძღვრების დეკორაციულ სისტემაში აისახა. სამეკლესიანი ბაზილიკები არსებობდა ასევე ზეგანის ეკლესია, ნასტაგისში.

საქართველოში ამ პერიოდში კიდევ არსებობს ეკლესიის სახეობა - გალავნიანი, დარბაზული ეკლესია რომელიც შუა საუკუნეების მანძილზე არსებობდა, მაგრამ წამყვან თემას ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძარი წარმოადგენს. ზეგანის წმ. მარინეს ეკლესიაში (Vს-ნე) გეგმაში თავისუფალი ჯვარი აქვს, მიღებული ორი მკლავის გადაკვეთის შედეგად და უგუმბათოდ. მეორე შემთხვევაში შიგნით ერთი აფსიდით და სამი სწორკუთხოვანი მკლავით. შიო-მღვიმის ეკლესია (V1ს-ნე). შესანიშნავია ძველი გავაზის ტეტრაკონქი (V1ს-ნე), სადაც ყველა აფსიდის ფორმა, თაღწები და შესასვლელები ნალისებური მოყვანილობისაა.

ცენტრალურ-გუმბატოვანი თემის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს მეV1ს-ს შუა წლეებში აგებული ნინოწმინდის ტაზარი, რომელსაც ვარსკლავისებური ფორმისაა. მიღებული ტეტრქკონქი ძირითადად აფსიდებს შორის გუმბათქვეშა კვადრატის დიაგონალზე უფრო მცირე ზომის აფსიდების შედეგად ხდება. ტაძარს შვიდი შესასვლელი ჰქონდა. მე V1ს-ნის დასრულებისათვის ქართულმა ხუროთმოძღვრებამ მიაღწია ტაძრის

შიდა სივრცის და გარეგანი მასების სრულ ჰარმონიას. ქართული ხელოვნების ადრეულ ეტაპზე, V1საუკუნის შუა წლებიდან და ამ მნიშვნელოვანი ხანის დასასრულისათვის, რაც „ყოველი ქარლის შშეკრებით“ და კონსოლიდაციით აღინიშნა, გუმბათოვან ხუროთმოძღვრებაში ყველაზე მკაფიოდ გამოიხატა ეროვნული ნიშნით აღბეჭდილი ახალი თემებისა და ტიპების წარმოშობა-დამკვიდრების პროცესი. ასეთი ახალი, ეროვნულად გამომეტყველი ხუროთმოძღვრული ტიპების საფუძველს ძირითადად ტეტრაკონქი წარმოადგენს, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ქრისტიანულ აღმოსავლეთ სამყაროში. მასთან ერთად ვხვდებით ე.წ. „თავისუფალი ჯვრის“ და „ჩახაზული ჯვრის“ ტიპებს. მაგრამ ქართველ ხუროთმოძღვართა მიერ სრულიად თავისუფალი, შემოქმედებითი მიდგომა, რომლებშიც მხოლოდ ეროვნული ხუროთმოძღვრებისათვის სახასიათო ფორმები და მხატვრულ - კონსტრუქციული გადაწყვეტის სრულიად ახლებური ამოცანები განხორციელდა.